www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 2 აგვისტო, 2013 წელი. | №3336 (143) | ფასი 50 თეთრი

## ბაჩო ახალაია სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო



თიკა ნიკოლაძე

*ბაჩანა ახალაია, ყველა იმ ბრალდებაში, რომლებიც მისი თავდაცვის მინისტრობის პერიოდს ეხებოდა, საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ამ ბრალდებების გამო შეფარდებული პატიმრობაც გააუქმა, შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი კვლავ ციხის საკანში რჩება - მისთვის წარდგენილი კიდევ ორი ბრალდების ირგვლივ სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია.*

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## არასაპარლამენტო ოპოზიცია აშშ-ს ელჩთან ჩივის

გუშინ არასაპარლამენტო პარტიების ლიდერებმა წინასაარჩევნო გარემოს შესახებ თავიანთი ხედვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდ გააცნეს.

„ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საელჩოს შენობიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ შეხვედრას ძირითადი პოლიტიკური სპექტრის ნაწილი ესწრებოდა. ნათელაშვილს მიაჩნია, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წინ თანასწორი არჩევნების ჩატარებისთვის ყველანაირი სამართლებრივი და პოლიტიკური პირობები მომსპარია. **„თუ მოესწრება, ვითარება უნდა გამოსწორდეს,"** - აღნიშნავს „ლეიბორისტების" ლიდერი.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის აზრით, თუ რეალობა, საარჩევნო გარემო არ შეიცვალა, არჩევნების სამართლიანობა და ლეგიტიმურობა სერიოზული კითხვის ქვეშ დადგება.

ბურჯანაძე ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში შეთანხმებული დაფინანსების მოდელით უკმაყოფილოა. როგორც მან აღნიშნა, დაფინანსება, ძირითადად, „ნაციონალური მოძრაობისა" და „ქართული ოცნებისთვის" იზრდება. ხოლო, დანარჩენი პარტიებისთვის, ბურჯანაძის აზრით, სიმბოლური რაოდენობის დაფინანსება გამოიყოფა. **„დემოკრატიულ მოძრაობას" საერთოდ არ დააფინანსებენ,"** - თქვა ნინო ბურჯანაძემ. მან კიდევ ერთ პრობლემატურ საკითხად საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის საეთერო დროის გამოყოფა დაასახელა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ვახუშტის ნაშრომები იუნესკომ მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა

ანა წულუკიძე

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის - იუნესკოს მსოფლიო საერთაშორისო რეესტრის კომიტეტმა ვახუშტი ბაგრატიონის აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და გეოგრაფიული ატლასი" მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში შეიტანა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე



*ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი ევროპის რუკა*

## კერი პაკისტანთან დაძაბულობის მოხსნას ცდილობს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი პაკისტანში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. მან ახალარჩეულ პრემიერ-მინისტრ ნავაზ შარიფთან მოლაპარაკება გამართა, ასევე პრეზიდენტ ასიფ ალი ზარდარის შეხვდა, რომელიც თანამდებობას სექტემბერში ტოვებს. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამერიკელი დიპლომატის ვიზიტი წინასწარ გამოცხადებული არ იყო.

მოლაპარაკებების მთავარი თემებია ეკონომიკა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6452⇩ |
| 1 ევრო | 2.0679⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5746⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.9116⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.1083⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 33°C - 21°C |
| ქუთაისი | 29°C - 18°C |
| თელავი | 33°C - 16°C |
| ზუგდიდი | 28°C - 17°C |
| ბათუმი | 26°C - 17°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 2.75 | -0.01 | -0.43% |
| გაზი | 2.91 | +0.02 | +0.55% |
| ოქრო | 1,618.60 | -3.20 | -0.20% |
| ხორბალი | 799.25 | +0.00 | +0.00% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
**ჩვენი პარტნიორები:**

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9771987912100>

## ქეცბაიამ ყაზახეთისთვის ნაკრებს უხმო, ყაზახეთმა - საქართველოსთვის

*საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს 14 აგვისტოს ყაზახეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრა ელის, რომლისთვისაც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ 23 ფეხბურთელს უხმო. ჯვაროსნებთან შეხვედრისთვის შემადგენლობა გამოაცხადა ყაზახეთის ნაკრების ჩეხმა მწვრთნელმა მიროსლავ ბერანეკმაც.*

გაგრძელება მე-7 გვერდზე



*ქეცბაიამ 23 ფეხბურთელს უხმო*

## ფანტასტიკური ჰორორი მისტიკის გარნირით

### ლიტერატურულმა ფესტივალმა «ინსომნიამ» კონკურსანტების მიღება დაიწყო

ია ვეკუა

სექტემბრის შუა რიცხვებიდან მელიქიშვილის ქუჩაზე მოჩვენებები დაიდებენ ბინას. ისინი შვიდნი იქნებიან, თუმცა ყველას ერთად ვერ ნახავთ, რადგან ერთი კვირის განმავლობაში მონაცვლეობით დასახლდებიან ერთ ძველ, წიგნებით სავსე სახლში, სადაც მთელ ღამეს ოთხ კედელს შუა სრულ სიმარტოვეში გაატარებენ. ...ნუ იჩქარებთ, ძმებ ვინჩესტერებს ჯერ ნუ გამოიძახებთ და ნურც პაკ მანს შეაწუხებთ, რადგან ეს მოჩვენებები სინამდვილეში ლიტერატურულ ფესტივალ-კონკურს „ინსომნიას" კონკურსანტები იქნებიან, მათი ერთდადერთი მისია კი ღამის განმავლობაში შერჩეული ჟანრის ნაწარმოების შექმნაა.



გაგრძელება მე-5 გვერდზე

## საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის უმცირესობის წევრებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის უმცირესობის წევრებსა და გუბერნატორებს შეხვდა და სიტყვით მიმართა. უპირველესად, მან დავით ბაქრაძეს პრაიმერიზში გამარჯვება მიულოცა და საპრეზიდენტო არჩევნებზე წარმატება უსურვა. მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებაც შეაფასა და აღნიშნა, რომ მიესალმება დავით ბაქრაძის ინიციატივას, მოლაპარაკება გამართოს ქვეყნის პრემიერ-მინიტრთან ეკონომიკურ საკითხებზე.

პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ქვეყნის პირველმა პირმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ამ მხრივ შექმნილ ვითრებას საგანგაშო უწოდა

მიხეილ სააკაშვილმა მის მიერ შეწყალებული თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თანამდებობაზე აღადგინა, - ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა უმცირესობის წევრებისა და გუბერნატორების შეხვედრაზე განაცხადა.

**„თენგიზ გუნავას გამოშვება მხოლოდ სამართლებრივი კი არა, სამართლიანი იყო, მისი დაჭერა იყო უსამართლობა, ამიტომ, რაც ერთმნიშვნელოვანია - მან უნდა გააგრძელოს თავისი ფუნქციების შესრულება, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულმა. ჩვენ არ უნდა მივცეთ საშუალება ხელისუფლებას არც ერთი ადამიანის დაჩაგვრის, მოხსნას მხოლოდ იმის გამო, რომ თვალში არ მოსდის,“** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან, ის გუნავას შეწყალების ფაქტზე საპარლამენტო უმრავლესობის მიერ გაკეთებულ უარყოფით განცხადებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „იმ პარლამენტს, რომელმაც გაუშვა და შეიწყალა პედოფილები, უამრავი მკვლელი, ნარკობარონები“, კრიტიკული შეფასებების გამოთქმის უფლება არ აქვს.

## პარლამენტს ეკონომიკურ გუნდთან შეკითხვები აქვს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საქართველოს ეკონომიკის ვარდნის ტენდენციას ‘ქართული ოცნების’ ხელისუფლებაში მოსვლამდე პერიოდს უკავშირებს.

როგორც უსუფაშვილი აცხადებს, საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობას ბევრი მიზეზი აქვს.

‘დავიწყებ იმით, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშით, საქართველოს ეკონომიკის ვარდნა დაიწყო არა წელს, არამედ შარშან, დაახლოებით, ამავე პერიოდიდან - ზაფხულიდან. ასე რომ, ხელისუფლების შეცვლამდე იყო ეს ტენდენცია. მეორე, საქართველოში წლების განმავლობაში დამკვიდრებული იყო ერთი ტიპის ეკონომიკური სისტემა - ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სისტემურად ბევრი რამ იცვლება, მათ შორის იცვლება დამკვიდრებული პრაქტიკა. ბიზნესმენებმა უნდა დაიჯერონ, რომ ე.წ. კრიშა აღარ არის საჭირო იმისთვის, რომ გაწიონ რისკი და გაიღონ ინვესტიცია,’ - აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, პარლამენტს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გარკვეული კითხვები აქვს, რომლებსაც, სავარაუდოდ, მომავალ კვირას გამართულ შეხევდრაზე დაუსვამს.

„როგორც ცნობილია, ქვეყნის ეკონომიკური გუნდი ამბობს, რომ წლის მეორე ნახვარი უკეთესი იქნება. ჩვენ გვაქვს კითხვები, თუ მომავალი უკეთესობა რა გათვლებს ემყარება და რა ფუნქცია უნდა შეასრულოს პარლამენტმა ამ ყველაფერში,“ - აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ახალ ხელისუფლებას ჰქონდა არჩევანი, გაეტარებინა სისტემური ცვლილებები ან გაეგრძელებინა წინა ხელისუფლების ნაცადი ხერხი, რომლის შედეგადაც ეკონომიკა იზრდებოდა, მაგრამ ეს ზრდა გავლენას ახდენდა მხოლოდ მოსახლეობის 5-6 პროცენტის კეთილდღეობაზე. როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, ამ ტენდენციით, 95 პროცენტს კი არც 5-პროცენტიანი ზრდა ეტყობოდა.

უსუფაშვილმა დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეების საარსებო მინიმუმის გადასახადისგან გათავისუფლებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, მხოლოდ ამ გადაწყვეტილებით მთავრობამ ჯამურად 300 მილიონამდე თანხის ამოღებაზე თქვა უარი. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარემ კატეგორიულად გამორიცხა, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულმა რომელიმე კანონმა ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

„სააკაშვილი რომ ამბობს, ჩვენმა მიღებულმა კანონებმა რაღაცები გამოიწვია. კი, ჩვენ შეგვეძლო, არ მიგველო ეს კანონი, მოსახლეობის, გაჭირვებული ადამიანების ჯიბიდან ამოგველო 6 თვეში, დაახლოებით, 150 მილიონი და ბიუჯეტი ამით შეგვევსო, თუმცა ჩვენ ვამბობთ, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს ორიენტირებული მოსახლეობის კეთილდღეობაზე,“ - განაცხადა უსუფაშვილმა.

# ბაჩო ახალაია სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

პირველი გვერდიდან

*გამამართლებელი განაჩენის მიუხედავად, ციხეში რჩება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე გაგა მკურნალიძეც. მას ე.წ. ციხის კარანტინის დაშლისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.*

სამხედროების მიმართ არაადამიანურად მოპყრობასა და სამხედრო მოსამსახურისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისთვის ბრალდებული ყოფილი მინისტრი და თავდაცვის სამინისტროს შვიდი ყოფილი მაღალჩინოსანი, მათ შორის: გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე, მეოთხე ქვეითი ბრიგადის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ შამათავა, სად-ის წარმომადგენელი გაგა მკურნალიძე, სერჟანტი ალექსანდრე გორდაძე, მერაბ კიკაბიძე, მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი საქალაქო სასამართლომ წარდგენილ ბრალდებებში უდანაშაულოდ ცნო. ახალაიას გარდა, ყველა მათგანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მათ აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული გირაოც გაუუქმდათ და გადახდილი გირაოს თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში დაუბრუნდებათ.

აღსანიშნავია, რომ ბაჩო ახალაიას და მის თანამონაწილედ გამოცხადებული შვიდი სამხედრო მოსამსახურის სასამართლო პროცესის ფარგლებში 50 სხდომა ჩატარდა,

მოწმის სახით დაიკითხა დაცვის მხარის 30 და ბრალდების მხარის 93 მოწმე, აქედან 26 დაზარალებული.

პროცესის მსვლელობისას დაცვის მხარე ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, გარდა დაზარალებულების ჩვენებებისა.

ადვოკატები ამბობდნენ, რომ ბრალდების მხარე მოწმეებს სასამართლოში მისვლამდე პროკურატურაში იბარებდა და საკუთარ ჩვენებებს აკითხებდა, რათა არაფერი შეშლოდათ.

ბაჩო ახალაიას საქმეში ადგილი ჰქონდა მოწმეთა მხრიდან ჩვენების შეცვლასაც. ამასთანავე, საქმეში ფიგურირებდნენ მოწმეები, რომლებიც ამბობდნენ, რომ პროკურატურა მათ ყოფილი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა. მაგალითად, გაერთიანებული შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილის მერაბ კიკაბიძის თქმით, პროკურატურა მას სთხოვდა, დაედასტურებინა, რომ ბაჩო ახალაიამ ხალხი აწამა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდნენ. კიკაბიძის თქმით, 15 დეკემბერს წაიყვანეს პროკურატურაში და არარსებული ფაქტის დადასტურებას სთხოვდნენ, ხოლო როცა მისგან სასურველი ჩვენება ვერ მიიღეს, ბრალდებულად ცნეს.

ასევე ბრალდების მოწმემ, იაღლუჯის პოლიგონის ყოფილმა სამხედრო ექიმმა ლევან სუთიძემ განაცხადა, რომ მას ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ და ამ მიზნით პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე ტყეში გაიტაცეს.

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილმა პირველმა მოადგილემ გაგა მკურნალიძემ, რომელიც ბრალდების ერთ-ერთ ეპიზოდში ერთადერთი მოწმე იყო და ადასტურებდა, რომ ბაჩო ახალაიამ მას ვინმე აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა დაავალა, ჩვენება შეცვალა, ჩვენებაზე უარი თქვა და ადვოკატებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას ახალაის წინააღმდეგ ჩვენება ზეწოლის ქვეშ მიაცემინეს.

სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით კმაყოფილი და გახარებული ბრალდებულები და მათი ახლობლები მიიჩნევენ, რომ საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი დარახველიძემ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ბაჩო ახალაიას ადვოკატები კი ახალაიას წინააღმდეგ სხვა სისხლის სამართლის საქმეებშიც გამამართლებელ განაჩენს ელიან. მათი თქმით, რეინჯერების საქმეში ბრალდების მხარეს მტკიცებულებები არ გააჩნია. რაც შეეხება ე.წ. ციხის ბუნტის საქმეს, ადვოკატთა თქმით, ამ საქმის შესახებ არსებული ჩვენებები ზეწოლის შედეგად არის მიღებული.

თავის მხრივ, პროკურატურა ბაჩანა ახალაიას შესახებ გამოტანილ განაჩენს ასაჩივრებს. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ბაჩანა ახალაიასთვის ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობით.

**‘სასამართლოს განაჩენის მიღების, შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესახებ, რაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული,“** - ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სანამ ყოფილ შს და თავდაცვის მინისტრს სასამართლო საბოლოო განაჩენს გამოუტანს, გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე აპირებს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას სასამართლოში უჩივლოს. კალანდაძე აცხადებს, რომ ის ადვოკატებთან კონსულტაციებს გაივლის და მინისტრების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ამის შემდეგ გადაწყვეტს.

**„ირაკლი ალასანიამ მოტყუებით მიმიყვანა თავდაცვის სამინისტროში, დამაპატიმრა. წამიკითხეს ბრალდება. მერე გამოვიდა და თქვა, რომ მე ფორმის და მუნდირის ღირსება შეურაცხვყავი და ღირსი არ ვარ, ვიარო ამ ფორმით და მუნდირით. შემდეგ მოიტყუა, თითქოს 500 000 ლარი უკანონოდ ავიღე და ბინა ვიყიდე. წულუკიანი კი, გამოვიდა და თქვა, რომ სამეგრელოში დავდიოდი და მოწმეებზე ვახდენდი ზეგავლენას,’** - განაცხადა გიგი კალანდაძემ.

მას შემდეგ, რაც გიორგი კალანდაძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო, ის საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. სააკაშვილმა გაერთიანებული შტაბის უფროსი ადმინისტრაციაში მიიღო.

**‘მნიშვნელოვანია, რომ სიმართლე გაირკვეს და ეს ბურუსი გაიფანტოს. ვფიქრობ, საზოგადოება ხვდება, რომ ბევრი რამ, რასაც ეუბნებოდნენ, სიყალბესა და სიცრუეზე იყო დაფუძნებული,’** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტთან შეხვედრისას გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა იმის შესახებაც ისაუბრა, რომ მოსამართლეზე, რომელიც მის საქმეს იხილავდა, იუსტიციის მინისტრი ზეწოლას ახორციელებდა. კალანდაძე მოსამართლე გიორგი დარახველიძეს მადლობას უხდის იმისთვის, რომ თეა წულუკიანის ზეწოლის ქვეშ არ მოექცა.

**‘ეს მოსამართლე ცხრა თვე იხილავდა ჩვენს საქმეს და არ მოექცა ზეწოლის ქვეშ, რომელსაც ყველანაირი პრეზუმპციის დაცვის გარეშე ახორციელებდა იუსტიციის მინისტრი. მან ღია ეთერში რამდენჯერმე დამდო ბრალი, თითქოს მე ვახდენდი ზეწოლას მოწმეებზე სამეგრელოში, რაც არ დადასტურდა და საერთოდ არც კი იყო ნახსენები,“** - თქვა კალანდაძემ პრეზიდენტთან შეხვედრისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბაჩო ახალაიას, გიორგი კალანდაძის და მათთან ერთად ბრალდებულების გამართლებას ‘ქართული ოცნების’, ‘ნაციონალური მოძრაობის’ და არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრთა სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა.

**მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი:** „ჩვენი და პირადად ჩემი პოზიციით, ახალაია იმ ეპიზოდში, რომელშიც გამართლებულ იქნა, დამნაშავედ უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუმცა სანამ სასამართლოს დასაბუთებული განაჩენი არ გვექნება, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, ამ განაჩენის კანონიერებაზე ვიმსჯელოთ.“

**თეა წულიკიანი, იუსტიციის მინისტრი:** „დღეს ამ განაჩენით დადასტურდა ერთი მარტივი რამ - სასამართლო რეალურად თავისუფალია პროკურორებისგან. მთავარი არის ერთი რამ - დიახ, სასამართლო არის თავისუფალი და დიახ, ჯერ პროცესი არ დასრულებულა. ამიტომ იმ პირველ უარყოფით რეაქციას, გაუგებრობის განცდას, რაც განაჩენისადმი აქვს საზოგადოებას და მათ შორის შეიძლება, მეც მქონდეს, ნუ ავყვებით, რადგან პროცესი გრძელდება. ცილისწამებისთვის კი ვერავინ მიჩივლებს, რადგან მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს მუხლი ამოიღეს.“

**თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:** ‘სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ ნიშნავს იმას, რომ ბაჩო ახალაია ანგელოზია. ეს იმაზე საუბრობს, რომ მას პროკურატურამ დანაშაული ვერ დაუმტკიცა.’

**ეკა ბესელია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე**: „მოსამართლე დარახველიძე, რომელიც არჩევნებამდე სამეგრელოში, სენაკში იყო სასამართლოს თავმჯდომარე და „ოცნების“ აქტივისტებს პლაკატების გაკვრისთვის აპატიმრებდა, სამართლიანი იქნება?“

**კახა კალაძე, ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი**: ‘შეიძლება, ბაჩო ახალაია პირდაპირ, უშუალოდ არ მონაწილეობდა ადამიანების წამებაში, მაგრამ სისტემის იდეოლოგები გახლდათ მიხეილ სააკაშვილი და მისი დამქაშები.’

**კახა კუკავა, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი**: ‘ახალაიას გამამართლებელი განაჩენის შემდეგ, ვფიქრობ, უნდა გადადგეს მთავარი პროკურორი და იუსტიციის მინისტრიც. ეს ყველაფერი სასამართლო რეფორმისა და პროკურატურის ცუდი მუშაობის შედეგია. წულუკიანმა სასამართლოს ანტირეფორმა განახორციელა.“

**ნინო ბურჯანაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** ‘მინდა, პირდაპირ გითხრათ, რომ ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უსუსურობა და უუნარობა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებას მივიღებთ“.

**ნუგზარ წიკლაური, ‘ნაციონალური მოძრაობის’ წევრი**: ‘დაცვის მხარემ წარმოადგინა ბევრად უფრო მეტი მოწმე, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ვფიქრობ, მოსამართლის დღევანდელი გადაწყვეტილება სამართლიანობის აღდგენისთვის ძალიან მძაფრი იმპულსია.“

**როლანდ ახალაია, საპარლამენტო უმცირესობის წევრი**: „მე. როგორც პროფესიონალი, როცა სასამართლო სხდომებს ვესწრებოდი, ვხედავდი, რომ არაფერი იყო, საქმე შეთითხნილი იყო და, აქედან გამომდინარე, ასეთ გადაწყვეტილებას ველოდი. მართლმსაჯულებამ თავის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა.“

**აკაკი მინაშვილი, ‘ნაციონალური მოძრაობის’ წევრი:** ‘ეს იყო სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ბაჩო ახალაია და ის ადამიანები, ვინც დღეს მასთან ერთად იყვნენ ბრალდებულნი, საქართველოს საქმეს აკეთებდნენ და მომავალშიც ამ საქმეს გააკეთებენ.’

დღის ბოლოს სოციალურ ქსელში ბაჩო ახალაიას მიმართვა გავრცელდა, სადაც თავდაცვისა და შს ყოფილმა მინისტრმა თანადგომისთვის მადლობა გადაიხადა.

**ბაჩო ახალაია:** ‘ძვირფასო მეგობრებო, მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისაც ჩემი უდანაშაულობის სჯეროდა, გვერდში გვედგა მე და ჩემს ოჯახს ამ ყველაზე რთულ პერიოდში. ჩემი ჩამოსვლა სწორედ იმას ისახავდა მიზნად, რომ საზოგადოებაში არსებულ ყველა კითხვაზე გამეცა პასუხი და არავისთვის მიმეცა საშუალება, ქართული ჯარის რეპუტაცია დაეყენებინა კითხვის ნიშნის ქვეშ. ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ ბრალდებულს, რომელმაც სიმართლის დასამტკიცებლად იბრძოლა ამდენი თვის განმავლობაში და არ უღალატა საკუთარ პრინციპებს. ეს ადამიანები არიან წარმატებული საქართველოს გარანტი.’

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# არასაპარლამენტო ოპოზიცია აშშ-ს ელჩთან ჩივის

პირველი გვერდიდან

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ პროცესი მემორანდუმზე შეთანხმებით არ უნდა დასრულდეს. როგორც მან აღნიშნა, ოპოზიცია არც ერთ საკითხს ულტიმატუმის ფორმით არ აყენებს და დიალოგის გაგრძელებას ითხოვს. **„ამომრჩეველთა სიები ისეთი გვაქვს, როგორიც ადრე გვქონდა. საარჩევნო ადმინისტრაცია იმაზე უარესია, რაც იყო. ბევრი სხვა სადავო საკითხია, რომლებსაც ისტერიკის გარეშე გადაწყვეტა სჭირდება,“** - თქვა კახა კუკავამ.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე საარჩევნო გარემოს უთანასწორობის მხრივ უამრავი პრობლემების შესახებ საუბრობს. მას მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერები მზად არ არიან, გაიზიარონ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და არასამთავრობოების მიერ შეთავაზებული პრინციპული საკითხები. ამის მიზეზად თარგამაძე „ქართული ოცნების“ კანდიდატის დაბალ თვითრწმენას ასახელებს. მისი თქმით, ეს პოლიტიკური ოპონენტებისთვის ცუდი არ არის, თუმცა პროცესზე უარყოფითად მოქმედებს. **„პირველად, საქართველოს უახლეს ისტორიაში ვიღებთ სურათს, როდესაც საარჩევნო კომისიებში წარმოდგენილია მხოლოდ ორი სუბიექტი. შეთანხმებული მემორანდუმის შინაარსშიც კი, რომელსაც გასულ კვირას უყარეს კენჭი, შეიტანეს ცვლილებები, გატეხეს პირი, დაარღვიეს პირობა, რაც პოლიტიკური ურთიერთობებისთვის ცუდი ნიშანია. მეორე და მესამე მოსმენით საერთოდ ამოიღეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემზღუდავი მუხლი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებდა,“** - თქვა თარგამაძემ.

თარგამაძის აზრით, ახლად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგები უკვე სახეზეა. ამაზე მიუთითებს აჭარის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ავტონომიის ბიუჯეტს 15 მილიონი ლარი ემატება.

გიორგი თარგამაძემ აღნიშნა, რომ აშშ-ს ელჩსა და ამერიკული ორგანიზაციების წარმომადგენლებს წინასაარჩევნო ვითარების გამოსწორებაში ხელშეწყობა სთხოვა.

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ყველას სურს, მომავალი არჩევნები სალი იყოს, რომელიც ქვეყანას ევროატლანტიკური და ევროპული სტრუქტურებისკენ გზას გაუხსნის.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ნორლანდთან შეხვედრას დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მისი თქმით, პროცესში საერთაშორისო კომპონენტის, როგორც მძლავრი ინსტრუმენტის ჩართვაა საჭირო, რათა საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, კონკურენტული და სამართლიანი არჩევნები შედგეს. ამას, ბაღათურიას აზრით, ყველა ხელისუფლების ავტორიტარული და ფეოდალური მიდრეკილებები ხელს უშლის, **„არა მხოლოდ მაჟორიტარების, როგორც პრემიერმა თქვა, არამედ ცენტრალური ხელისუფლების, მათ შორის მისი ერთპიროვნული და ერთპარტიული ავტორიტარული აზროვნება,“** - ამბობს ჯონდი ბაღათურია.

ბაღათურიას ინფორმაციით, საკითხი, რომლის შესახებაც პარტიები თანხმდებიან, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მუშაობის არა ინტერფრაქციულ, არამედ ინტერპარტიულ ფორმატში გაგრძელებაა. **„რეფორმა დაწყებულია, რომელიც მემორანდუმით გაფორმდა. ეს პირველი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამას დასრულება სჭირდება,“** - დასძენს ჯონდი ბაღათურია.

შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან რიჩარდ ნორლანდმაც ისაუბრა. მას მიაჩნია, რომ საქართველოში დიდი პროგრესია მიღწეული, თუმცა ჯერ კიდევ არის სამუშაო. როგორც ამერიკელი დიპლომატი ამბობს, მას საპრეზიდენტო და მომავალი წლის ადგილობრივი არჩევნების შესახებ არასაპარლამენტო პარტიების ლიდერთა ხედვები აინტერესებდა. მისი თქმით, იმ პოლიტიკურ სეზონზე, რომელშიც საქართველო შედის, პოლიტიკური მოთამაშეების მოსაზრებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია. **„იკვეთება მთელი რიგი საკითხები, როგორიცაა საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლობა, არის თუ არა მედია იმ დონეზე პოლარიზებული, რომ ყველა პოლიტიკური პლატფორმის სამართლიან გაშუქებას ხელი შეეშალოს. მედიას ამ პროცესში დიდი როლი აკისრია. ასეთი შეხვედრები კი დაგვეხმარება, გავიაზროთ საქართველოს საზოგადოებაში არსებული შეხედულებები, დავხვეწოთ ძალისხმევა, რათა ხელი შევუწყოთ საქართველოში დემოკრატიის შემდგომ განვითარებას,“** - აღნიშნავს რიჩარდ ნორლანდი.

ოპოზიციასთან შეხვედრის შემდეგ ამერიკის ელჩი საქართველოს პრეზიდენტთან სასაუბროდ გაემართა. აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, პრეზიდენტმა და ელჩმა განიხილეს, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი ისევ ქვეყნის მომავალი გახდეს, რადან, მათი თქმით, ეს საქართველოს საინვესტიციო კლიმატის, ეკონომიკური ზრდისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ინტერესებშია.

### შეხვედრა პარლამენტის თავმჭდომარესთან

ამერიკის საელჩოდან ოპოზიციური პარტიები შემცირებული შემადგენლობით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან შესახვედრად გაემართნენ. თბილისის იუსტიციის სახლში უსუფაშვილი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლებს ესაუბრა.

განხილვის საგანი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ჩამოყალიბების საკითხი იყო. „მემარჯვენეების“ წევრ მამუკა კაციტაძის აზრით, კომისია აქამდეც უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ახლა მზადყოფნაა, რომ მუშაობა სექტემბრისთვის დაიწყოს. მისი თქმით, კომისია მოკლე ვადით არ იმუშავებს, კონსტიტუციის სტრატეგიული გადახედვა იგეგმება.

გიორგი თარგამაძეს მიაჩნია, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის აქტიური კომუნიკაცია აუცილებელია. **„ქართულ ოცნებაში“ ის ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკური გამოცდილება არ აქვთ, ნუ წარმოიდგენენ, რომ მათ შეუძლიათ იმ სიმძიმის აწევა, რასაც ქვეყნის მართვა ჰქვია,“** - აღნიშნავს თარგამაძე.

დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან დიალოგი არასდროს შეუწყვეტია. **„ამ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენიმე თემის შესახებ საუბარი. მათ შორის, სექტემბერში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ჩამოყალიბების შესახებ ვიმსჯელეთ. ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის შედეგებიც განვიხილეთ. ინტერფრაქციული ჯგუფის მიმართ გარკვეული გაუგებრობები იყო, მაგრამ ყველა საკითხი გარკვეულია,“** - თქვა დავით უსუფაშვილმა.

*საკუთარი ინფორმაციას*

# ბაქრაძე პრემიერს შეხვედრას სთხოვს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის საკითხზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მიმართა.

**„მთავრობისა და მინისტრებისგან „სირაქლემას პოზაში“ დგომა - თითქოს, ეკონომიკაში უარყოფითი არაფერი ხდება - ვფიქრობ, ძალიან არასერიოზულია. ეკონომიკური ვარდნა შეიძლება, ვერ იგრძნონ მინისტრებმა და მათი ოჯახის წევრებმა, მაგრამ ეს პირდაპირ აისახება ასეულობით ათასი ქართული ოჯახის ცხოვრებაზე, ამიტომ მთავრობამ კეთილი უნდა ინებოს და „სირაქლემას პოზიციიდან“ ამ საკითხის გულახდილი და ღია განხილვის რეჟიმში გადავიდეს,“** - აღნიშნავს დავით ბაქრაძე.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი პრემიერ-მინისტრს ეკონომიკური საკითხების განსახილველად შეხვედრას სთავაზობს. **„შეხვედრის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ერთად ვიმსჯელოთ, როგორ გამოვიყვანოთ ქვეყნის ეკონომიკა იმ კრიზისიდან, რომელშიც ამჟამადაა,“** - თქვა ბაქრაძემ.

დავით ბაქრაძემ პრემიერს რამდენიმე წინადადების შესახებ მსჯელობა შესთავაზა. **„პირველი - ბიზნესს უნდა ჰქონდეს სრული დაცულობის განცდა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია ბიზნესის სრული დეკრიმინალიზაცია, ანუ ბიზნესთან დაკავშირებულ ვერც ერთ აქტივობაზე ბიზნესმენს პასუხს ვერ უნდა სთხოვდეს ვერც პოლიცია, ვერც პროკურატურა. ეს იყო ერთ-ერთი პრობლემა წინა წლებში. დღევანდელი მთავრობა „ძალიან წარმატებულად“ აგრძელებს წინა წლების პრობლემას,“** - მიიჩნევს ბაქრაძე.

მეორე საკითხი, ბაქრაძის თქმით, ბიზნესისთვის სტაბილურობის განცდის შექმნა და მორატორიუმის გამოცხადებაა იმის შესახებ, რომ უახლოეს 5 წელიწადში მთავრობა ბიზნესისთვის დამატებით რეგულაციებს და ტვირთს არ შეცვლის და არ შემოიღებს.

მესამე წინადადება, რასაც ბაქრაძე მთავრობას სთავაზობს, ითვალისწინებს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობას და გადასახადების შემცირების გაგრძელებას, რაც წინა წლებში იყო. **„2013 წლიდან ვგეგმავდით საშემოსავლო გადასახადის შემცირებას, რაზეც მთავრობამ უარი თქვა. ჩვენი შეთავაზება იქნება, ეს მიმართულება გავაგრძელოთ,“** - აღნიშნავს დავით ბაქრაძე.

დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ მის შეთავაზებას პრემიერის მხრიდან დადებითი გამოხმაურება მოჰყვება. ბაქრაძე პრემიერთან ნებისმიერ დროს შესახვედრად მზად არის.

პარლამენტის ყოფილი სპიკერის მიმართვის ფორმა მიუღებელი აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისთვის. **„ზოგადად, თუკი დავით ბაქრაძეს რამე საკითხი აქვს, გვაქვს ურთიერთობის ფორმატი. შეუძლია, ნებისმიერ დროს დამირეკოს,“** - ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე. როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, მას ბაქრაძის არანაირი განცხადება არ მოუსმენია და ამიტომ შეფასებისგან თავი შეიკავა.

ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ საუბრობენ საქართველოს მთავრობის წევრები. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკა შემცირებული არ არის. მისი თქმით, ეკონომიკური ზრდის შესახებ სტატისტიკის დეპარტამენტმა წინასწარი მონაცემი გამოაქვეყნა, რომელიც მონაცემებს, სულ მცირე, ორჯერ დააზუსტებს. **„ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ეს მონაცემი საერთოდ არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას, რაც, ვფიქრობ, არასწორია და ხელოვნურად არის შემცირებული. სინამდვილეში, პირველი 6 თვის განმავლობაში ეკონომიკურმა ზრდამ, სოფლის მეურნეობის გარეშე, დაახლოებით, 2 პროცენტი შეადგინა,“** - დასძინა ხადურმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ 2012 წლის ეკონომიკა დიდწილად ხელოვნურად იყო სტიმულირებული. მისი აზრით, 2013 წლის ეკონომიკა თავისუფალ საბაზრო პრინციპებზეა აგებული. **„ზედმეტი ზეწოლა და ხელოვნური პროექტები აღარ არის. პროცესები ნორმალურად მიმდინარეობს. მართალია, ერთი თვის შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან სასურველ შედეგს არ იძლევა, თუმცა წლის მეორე ნახევარი ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო აქტიური იქნება,“** - იმედოვნებს ნარმანია.

პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა კი აღნიშნა, რომ 2007 წლიდან 2009 წლამდე საქართველოს ეკონომიკის 4-პროცენტიანი კლება დაფიქსირდა. **„ყველა თვე მინუსით ჰქონდათ. ამ ხალხისგან როგორ უნდა მივიღოთ შენიშვნები, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკა ტყუილებზე აქვთ აგებული,“** - ამბობს ონოფრიშვილი.

*საკუთარი ინფორმაცია*

## დავით ჯანდიერი: წინასაარჩევნო გარემო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს

უწყებათაშორისო კომისიის გუშინდელი შეხვედრა უშიშროების საბჭოსთან არსებულ ფორმატში, სავარაუდოდ, ბოლო შეხვედრა იყო, - ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, დავით ჯანდიერმა უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ მიაწოდა.

მისი თქმით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება და ამ ცვლილების მიხედვით, უწყებათაშორისო კომისია იუსტიციის სამინისტროში იქნება.

„იუსტიციის სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა, სრულყოფილად შეასრულოს ის მოვალეობა, რაც კანონით დაეკისრება. ჯერჯერობით ეს კანონი ძალაში არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, მალე შევა. აქედან გამომდინარე, ეს იყო, სავარაუდოდ, ბოლო შეხვედრა უშიშროების საბჭოსთან არსებულ ფორმატში,“ - განაცხადა დავით ჯანდიერმა.

რაც შეეხება საკითხებს, რომლებიც გუშინ განიხილეს, ჯანდიერის თქმით, მათ იმსჯელეს სხვადასხვა პრეტენზიებზე, რომლებიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა დააყენეს. ჯანდიერის ინფორმაციით, იყო გარკვეული რეკომენდაციის შემოთავაზება უწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარის მიერ, თუმცა კომისიას არავითარი რეკომენდაცია არ მიუღია. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ძირითადად, საუბარი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერიზის დროს ზუგდიდში მომხდარ ინციდენტზე.

„მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო გარემო, რომელიც ამ ეტაპზეა, სავსებით აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,“ - აღნიშნა ჯანდიერმა.

მისივე თქმით, უწყებათაშორისო კომისია ძალიან წარმატებული ფორმატია, თუმცა შესაძლებელია, მისი მუშაობა კიდევ უფრო ეფექტური იყოს.

## ქსნის და რუსთავის ციხეებში პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს

ქსნის #15 და რუსთავის #17 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფმა მოშიმშილე მსჯავრდებულებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

როგორც news.ge-ს სასჯელაღსრულების სამინისტროდან აცნობეს, პროტესტის უკიდურეს ფორმაზე უარი მსჯავრდებულებმა მას შემდეგ თქვეს, რაც მათ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, ამავე კომიტეტის წევრი გედევან ფოფხაძე და სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე შეხვდნენ.

ქსნის #15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დეპუტატებთან ერთად, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც იმყოფებოდა.

ეკა ბესელია და მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე, რომელიც ამავდროულად ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეცაა, მსჯავრდებულებს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გადახედვას დაჰპირდნენ.

რაც შეეხება შეკრებითობის წესის გაუქმების შემდეგ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, მსჯავრდებულებს ეკა ბესელიამ საქმეების ინდივიდუალურად შესწავლის პირობა მისცა.

## 17 მაისის საქმეზე ბრალდებული ერთი მღვდლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით, 17 მაისის საქმეზე ბრალდებული მღვდლის თამაზ ბიჩინაშვილის (მამა ანთიმოზი) საქმის არსებითი განხილვა აღარ გაიმართება.

მოსამართლის განცხადებით, საქმეში არსებობს მხოლოდ ერთი ვიდეომასალა, სადაც ისმის გინება და, როგორც მოსამართლემ აღნიშნა, კიდეც რომ დადასტურდეს ის ფაქტი, რომ ნამდვილად თამაზ ბიჩინაშვილი იგინება, ეს არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

პროკურატურას კი მისთვის ბრალი წაყენებული ჰქონდა სიხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით, რაც გულისხმობს შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისთვის უკანონოდ ხელის შეშლას - ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ამავე საქმეზე ამავე მუხლით ბრალდებულია კიდევ ოთხი ადამიანი, მათ შორის, ასევე, ერთი სასულიერო პირი - ირაკლი ბასილაია (მამა იოთამი), რომელთა საქმის არსებითი განხილვა 15 აგვისტოს, 12:00 საათზე დაიწყება.

17 მაისის საქმეზე სისხლის სამართლის 161-ე მუხლით ბრალი ჰქონდათ წაყებებული თამაზ ბიჩინაშვილს (მამა ანთიმოზი), ირაკლი ბასილაიას (მამა იოთამი), ტიტალ დავრიშიანს, ბექა სალუქვაძესა და გიორგი ბასიაშვილის. ეს მუხლი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

გუშინ აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა დასრულდა, ხოლო არსებითი განხილვა მხოლოდ ოთხი პირის მიმართ გაგრძელდება.

17 მაისს, ტრანსფობიასთან და ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისში უნდა გამართულიყო აქცია-ფლეშმობი, რისი საშუალებაც უფლებადამცველებს არ მისცეს სასულიერო პირებმა, მრევლმა და ადამიანების ჯგუფმა, რომლებმაც კონტრაქცია გამართეს.

## ქნესეთში 14 წლის განმავლობაში პირველად გამოჩნდა პალესტინის დროშა

ისრაელის პარლამენტში 14 წლის განმავლობაში პირველად დადგეს პალესტინის ავტონომიის დროშა - 31 ივლისს ქნესეთში პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლები ისრაელის მინისტრებსა და პარლამენტის წევრებს შეხვდნენ. პალესტინელი პოლიტიკოსის აბდულა აბდულას თქმით, მასზე ძალიან იმოქმედა პალესტინისა და ისრაელის დროშების ერთად ხილვამ. მისი აზრით, სამშვიდო პროცესის საწყის ეტაპზე ეს შესაფერისი ნაბიჯი იყო.

აბდულ აბდულამ ისრაელ პოლიტიკოსებს პალესტინის პარლამენტში მაჰმუდ აბასის საპასუხო მიპატიჟება გადასცა. აბდულამ «იერუსალემ პოსტს“ განუცხადა, რომ პალესტინის პარლამენტში ისრაელელი სტუმრების მიღებისას ამ ქვეყნის დროშას აღმართავენ. ისრაელის მხარე ამ ვიზიტით დაინტერესდა და ახლა მის რეალიზებაზე იწყებს მუშაობას.

აღნიშნული შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი ორგანიზაცია «OneVoice“ იყო, რომელიც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არაბული სახელმწიფოს შექმნას უჭერს მხარს. უკანასკნელად პალესტინის დროშა ქნესეთში 1999 წელს აღმართეს, როდესაც ყოფილმა სპიკერმა აბრაამ ბურგმა თავისი პალესტინელი კოლეგა აჰმედ კურეი მიიღო.

## კადაფის რეჟიმის მინისტრს სიკვდილით დასჯა მიუსჯეს

31 ივლისს მომარ კადაფის მმართველობის დროინდელ ლიბიის განათლებისა და ინფორმაციის მინისტრ აჰმედ იბრაჰიმს სიკვილით დასჯა მიუსაჯეს. «როიტერის“ ინფორმაციით, ყოფილ მინისტრს მშვიდობაინი მოსახლეობის მკვლელობასა და ეროვნული უსაფრთხოების რღვევაში ედება ბრალი. ახლა ეს განაჩენი ლიბიის უზენაესმა სასამართლომ უნდა დაამტკიცოს. ეს პირველი სასიკვდილო განაჩენია, რომელიც მოამარ კადაფის რეჟიმის წარმომადგენლის მიმართ გამოიტანეს. მომავალში კადაფის რეჟიმის არაერთი წარმომადგენლის სასამართლო პროცესი გაიმართება, მათ შორის მისი ვაჟის სეიფ ალ-ისლამის. ამ უკანასკნელის დაცვა ცდილობს, მისი სასამართლო პროცესი ჰააგაში გაიმართოს, ვინაიდან შიშობენ, რომ სამშობლოში მის წინააღმდეგ არასამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ და სიკვდილით დასჯიან. აჰმედ იბრაჰიმიც «უბრალო მინისტრი“ არ იყო - ის კადაფის ბიძაშვილია.

## აზერბაიჯანმა სომხეთი ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაში დაადანაშაულა

30 ივლისს სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში აზერბაიჯანის პოზიციებს გაუხსნეს ცეცხლი. აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების პრესსამსახურმა განაცხადა. «ცეცხლი სოფელ გიზილხაჯილს გაუხსნეს. ამასთან, თავდასხმა მოხდა გორგანისა და აშაგის სოფლებზეც,“ - საუბარია თავდაცვის უწყების განცხადებაში. სააგენტო «ტრენდის“ ინფორმაციით, თავდაცვის უწყებამ ასევე განაცხადა, რომ 1 აგვისტოს ეუთოს მისიის ფარგლებში სოფელ აღდამზე გამავალი ფრონტის ხაზის მონიტორინგი იგემება. ამ დრომდე სომხურ მხარეს აღნიშნულის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

## ურუგვაის პარლამენტის ქვედა პალატამ მარიხუანის ლეგალიზაციას მისცა ხმა

«ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ურუგვაის პარლამენტის ქვედა პალატამ კანონპროექტი მიიღო, რომელიც მარიხუანის ლეგალიზაციას გულისხმობს. თუ კანონპროექტს სენატიც დაამტკიცებს, ურუგვაი პირველი ქვეყანა გახდება, სადაც მარიხუნის დამზადება, გავრცელება და გაყიდვა იქნება დარეგულირებული. ამ კანონპროექტს ქვეყნის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა უჭერს მხარს. ის მიიჩნევს, რომ ეს ინიციტივა ნარკომოვაჭრეებს შემოსავალს წაართმევს, ნარკომანები კი იშვიათად მოიხმარენ მძიმე ნარკოტიკს.

კანონპროექტის თანახმად, მარიხუანის გაყიდვა მხოლოდ ხელისუფლებას შეეძლება: „სახელმწიფო გააკონტროლებს და დაარეგულირებს კანაბისის იმპორტს, ექსპორტს, მოყვანას, დამზადებას, შენახვას და გაყიდვას.“ მსუბუქი ნარკოტიკი გაიყიდება მხოლოდ სრულწლოვან (18 წლის) მოქალაქეებზე, რომლებიც სპეციალურ მონაცემთა ბაზაში იქნებიან რეგისტრირებულნი და მათ თვეში 40 გრამი მარიხუანის მოხმარება შეეძლებათ. ამ კანონპროექტს, 13-საათიანი დებატების შემდეგ, 96 დეპუტატიდან 50-მა დაუჭირა მხარი. როგორც ვარაუდობენ, კანონპროექტს სენატიც მიიღებს.

## თურქეთის პოლიციამ კომაში მყოფი ბიჭის მშობლები არ ალაპარაკა

«სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, თურქეთის პოლიციამ იმისათვის, რომ 14 წლის დაშავებული ბიჭის მშობლებისთვის განცხადების გაკეთებაში ხელი შეეშალა, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა. ოთხშაბათს საღამოს სამი ელვანი, მისი მეუღლე გულსუმი და მათი ათობით მხარდამჭერი სტამბოლის ტაქსიმის მოედანზე შეიკრიბნენ. «ჩვენ იმის გამო ვაპირებდით საჯარო განცხადების გაკეთებას, რომ ჩემი ვაჟის მდგომარეობის შესახებ ძალიან ბევრი ადამიანი მეკითხება,“ -აღნიშნა ელვანმა «სი-ენ-ენ“-თან საუბრისას.

ელვანების ოჯახის თქმით, მათი ვაჟი 16 ივნისს დაშავდა, როდესაც პურის საყიდლად ქუჩაში გავიდა. წინა ღამეს თურქეთის პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება მოხდა, რომელიც მეორე დღესაც გრძელდებოდა. «ჰიუმან რაიტს უოტჩის“ ინფორმაციით, თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ბიჭს პოლიციამ ცრემლსადენი გაზის ყუთი ჩაარტყა. ოჯახის განცხადებით, ბერკინ ელვინი ამ დრომდე სტამბოლის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

თურქეთში ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები მაისში დაიწყო, რასაც არსებული ინფორმაციით, ოთხი დემონსტრანტი შეეწირა. თავდაპირველად აქცია ეკოლოგებმა დაიწყეს, რომლებიც გეზის პარკში კომერციული ცენტრის მშენებლობას აპროტესტებდნენ, თუმცა გამოსვლები მალევე გადაიზარდა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებში, რომლებშიც პრემიერის გადაყენებას ითხოვდნენ.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# სნოუდენმა „შერემეტიევო“ დატოვა

**ივა შილაკაძე**



აშშ-ს სპეცსამსახურების ყოფილმა, აწ უკვე გაქცეულმა და დევნილმა აგენტმა ედუარდ სნოუდენმა გუშინ დატოვა მოსკოვის აეროპორტ „შერემეტიევოს“ სატრანზიტო ზონა და რუსეთის ტერიტორიაზე დროებით საცხოვრებელ ადგილზე გადავიდა. მისი პირადი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ აცხადებენ, კონკრეტულად სად იცხოვრებს გაქცეული აგენტი.

მანამდე მას ფედერალური მიგრაციული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტები გადასცა მოხალისე ადვოკატმა ანატოლი კუჩერენამ, რომელიც სნოუდენს რუსეთში თავშესაფრის მისაღებად დოკუმენტების მომზადებაში ეხმარებოდა და შესაბამისად ბოლო კვირებში რამდენჯერმე შეხვდა. სნოუდენს რუსეთში მისცეს დროებითი თავშესაფარი ერთი წლის ვადით. კუჩერენას სიტყვებით, მას ხელთ აქვს დოკუმენტები, რომლითაც შეუძლია, თავისუფლად გადაადგილდეს რუსეთში ნებისმიერი მიმართულებით „კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე“, მაგრამ რუსეთს ვერ დატოვებს.

კუჩერენამ მედიას განუცხადა, რომ სნოუდენი აეროპორტიდან გამოსვლისთანავე ტაქსში ჩასვა და ის მარტო გაემგზავრა უცნობი მიმართულებით. თუმცა მოგვიანებით „ვიკილიკსმა“ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, ედუარდ სნოუდენთან ერთად იმყოფება მათი თანამშრომელი სარა ჰარისონი. სკანდალურად ცნობილი საიტი აცხადებს, რომ ისინი აკონტროლებენ სნოუდენის გარშემო არსებულ სიტუაციას მას შემდეგ, რაც ის ჰონგ-კონგში ჩავიდა.

გუშინვე, „ვიკილიკსის“ წინასწარი ინფორმაციით, სნოუდენს უნდა გაევრცელებინა განცხადება ბრედლი მენინგის განაჩენის შესახებ, თუმცა ეს განცხადება გვიან საღამომდე მედიაში არ გამოჩენილა. შესაძლოა, ამაში სნოუდენს ხელი სწორედ საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ შეუშალა.

ჯერ უცნობია, რას გააკეთებს რუსეთში სნოუდენი, გაივლის ადაპტაციას და სადმე იმუშავებს თუ, უბრალოდ, საკუთარი ბედის საბოლოოდ გარკვევას დაელოდება. ისე, სნოუდენს უკვე შესთავაზა სამუშაო თავის კომპანიაში და თან „სპეციალობით“ ქსელის „ВКонтакте“ დამაარსებელმა ლევ დუროვმა. მან განაცხადა „ვეპატიჟებით ედუარდს პეტერბურგში და მოხარული ვიქნებით, თუ ის შეავსებს ჩვენი პროგრამისტების ვარსკვლავურ გუნდს. ევროპაში ჩვენზე პოპულარული ინტერნეტ-კომპანია არ არის და ვფიქრობ, მას დააინტერესებს ჩვენი მილიონობით მომხმარებლის პირადი მონაცემების დაცვა.“

სნოუდენი „შერემეტიევოს“ სატრანზიტო ზონაში 22 ივნისის შემდეგ იყო გაჩხერილი. აშშ მის გადაცემას ითხოვს, რათა შპიონაჟის და კიდევ ორი სხვა ბრალდებით გაასამართლოს.

# ასადი ამბოხებულების დამარცხებაში დარწმუნებულია

**თამთა კახაძე**
**ივა შილაკაძე**



სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ ამბოხებულების წინააღმდეგ გამარჯვებაში დარწმუნებულია. 2011 წლის მარტში ქვეყანაში დაწყებულ კონფლიქტს 100 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა; ორი მილიონი ადამიანი კი ლტოლვილად იქცა. თან ეს მხოლოდ სხვა სახელმწიფოეში გადასულ ლტოლვილთა რიცხვია. ქვეყანაშიც ძალიან ბევრია იძულებით გადაადგილებული პირი.

«ჩვენ გამარჯვებაში დარწმუნებულები რომ არ ვიყოთ, მტერთან წინააღმდეგობის გაწევის და ბრძოლის ძალაც არ გვექნებოდა,“ - განაცხადა პრეზიდენტმა, რომელის სიტყვებსაც სააგენტო «სანა“ ავრცელებს. ასადი მის წინააღმდეგ ამბოხებას საერთაშორისო ძალების «შეთქმულებას“ უწოდებს.

სირიის არმიის შექმნის 68-ე წლისთავზე ოფიცრების წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯარისკაცების სიმამაცეზე გააკეთა აქცენტი, მეამბოხეებს კი სამხედრო დანაშაულში დასდო ბრალი.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სირიამ გაეროს ინსპექტორებს იმ სამი რაიონის შემოწმების უფლება მისცა, სადაც სავარაუდოდ ქიმიური იარაღი გამოიყენეს. ცხადია, მათ შორის არის დასახლებული პუნქტი ხან ასალა ალეპოს მახლობლად, სადაც, ოფიციალური დამასკოს მტკიცებით, ქიმიური იარაღი ამბოხებულებმა გამოიყენეს. გაეროს გენერალურ მდივან ბან კი მუნის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინსპექტორები სირიაში გაემგზავრებიან «რაც შეიძლება მალე».

ამა წლის მარტში მომხდარი თავდასხმისას, როდესაც, სავარაუდოდ, გამოყენებულ იქნა ქიმიური იარაღი, ხან ასალაში 30 ადამიანი დაიღუპა. მაშინ ამ დასახლებულ პუნქტს სირიის სამთავრობო ჯარები აკონტროლებდნენ, ხოლო შემდეგ ის ამბოხებულების ხელში გადავიდა.

ინსპექტორები სირიაში დაუშვეს მოლაპარაკებების შედეგად, ერთი მხრივ, ამ სახელმწიფოს მთავრობასა და, მეორე მხრივ, გაეროს წარმომადგენელს განიარაღების საკითხებში ანჯელა კეინსა და გაეროს ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს ქიმიური იარაღის საკითხებში ოკე სელსტრომს შორის. გაერო სირიაში ექსპერტების თავისუფლად შეშვებას დიდი ხანია, ითხოვდა, მაგრამ ასადის მთავრობა მხოლოდ ხან ასალას შემოწმებაზე იყო თანახმა, სადაც იქიმიური იარაღის გამოყენებას ამბოხებულებს აბრალებს.

ბოლო თვეების განმავლობაში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ინფორმაცია რამდენჯერმე გავრცელდა. თურქეთის, საფრანგეთის, აშშ-სა და რუსეთის ლაბორატორიებში მიწის სინჯებიც შეისწავლეს და კვალიც აღმოაჩინეს, მაგრამ მხარეები ამ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას ერთმანეთს აბრალებენ და თავად არ აღიარებენ. ყველაფრის ზუსტად დადგენას კი ობიექტური საერთაშორისო გამოძიება სჭირდება.

თურქული გამოცემების ინფორმაციით, სირიის საზღვართან თურქეთის არმია გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნაზეა გადასული, რაც თურქეთის სასაზღვრო რაიონებში არსებულმა რეალურმა საფრთხემ განაპირობა. სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში უკვე ორი კვირაა, ბრძოლები მიმდინარეობს ქურთ მილიციელებსა და ექსტრემისტული დაჯგუფების შეიარაღებულ მებრძოლების შორის, რომლებსაც «ალ ქაიდასთან“ აქვთ კავშირი.

თვითმხილველების ინფორმაციით, იმ ადგილებს, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს, ადგილობრივი მცხოვრებლები მასიურად ტოვებენ. თურქეთ-სირიის საზღვარზე ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში ავიაგამანადგურებლები პატრულირებენ. ისინი თურქეთის სხვადასხვა აეროპორტებიდან მოფრინავენ, მათ შორის ქალაქ დიარბექირიდან.

თურქული მედიის ინფორმაციით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში სირიის საზღვართან მდებარე რაიონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მინისტრთა კაბინეტი ორჯერ შეკრიბა. თურქეთ-სირიის საზღვრის უკეთ დასაცავად ნატომ ამ ქვეყანაში «პეტრიოტებიც“ კი განალაგა.

# კერი პაკისტანთან დაძაბულობის მოხსნას ცდილობს

**პირველი გვერდიდან**

ჯონ კერის მიზანია, სტრატეგიულ მოკავშირესთან ურთიერთობებში დაძაბულობა შეამციროს. ოფიციალური ისლამაბადის გაღიზიანება დაიწყო ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან შეთანხმების გარეშე აბოტაბადში უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციისთვის და გაგრძელდა ტერორისტებზე უპილოტო თვითმფრინავებიდან განხორციელებული თავდასხმებისთვის, რასაც აშშ ასევე დამოუკიდებლად ახორციელებს. 2004 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, უპილოტოებიდან განხორციელებულ თავდასხმებს პაკისტანში 3460 ადამიანი შეეწირა. მათი უმრავლესობა, ცხადია, „ალ ქაიდას“ და „თალიბანის“ მებრძოლები არიან, თუმცა დარტყმებს პერიოდულად მშვიდობიანი მოქალაქეებიც ეწირებოდნენ. იყო კიდევ ტრაგიკული ინციდენტი ავღანეთის საზღვართან ორიოდე წლის წინ, როდესაც სამხედროებს შორის ცუდი კოორდინაციის გამო „თალიბების“ დევნისას ნატოს კონტინგენტის შენაერთებმა პაკისტანის სასაზღვრო საგუშაგო გაანადგურეს, რომელსაც 30-მდე ჯარისკაცი შეეწირა.

ავღანეთთან მოსაზღვრე ოლქი ჩრდილოეთ ვაზირისტანი „ალ კაიდას“ და „თალიბანის“ დასაყრდენად მიიჩნევა. სწორედ ამ რეგიონში აწყობენ რეგულარულ რეიდებს ამერიკული უპილოტო თვითმფრინავები. ნავაზ შარიფმა, რომელმაც მაისში პაკისტანში არჩევნები მოიგო, ამერიკას თავდასხმების შეწყვეტა მოსთხოვა. მისი განცხადებით, რაც პრინციპში ემთხვევა წინა მთავრობის პოზიციასაც, ეს პაკისტანის სუვერენიტეტს არღვევს. ცოტა ხნის წინ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უპილოტო თვითმფრინავების გამოყენებას ტერორიზმთან კანონიერი ბრძოლის ნაწილი უწოდა. მან, უბრალოდ, პირობა დადო, რომ გადაწყვეტილებების მიღება უფრო გამჭვირვალედ განხორციელდება და ავიადარტყმების სამიზნეთა განსაზღვრის წესები გამკაცრდება.

ეს არის ჯონ კერის პირველი ვიზიტი პაკისტანში მას შემდეგ, რაც ის აშშ-ს დიპლომატიურ უწყებას ხელმძღვანელობს, თუმცა ამ სახელმწიფოში ის, ცხადია, პირველად არ ჩადის.

პაკისტანის ახალი ხელისუფლების წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემებია ეკონომიკა, ენერგეტიკა და ექსტრემიზმთან ბრძოლა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანთანაც, ძირითადად, ამ საკითხებზე იყო მსჯელობა. პაკისტანის მთავრობას ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული კონტრტერორისტული სტრატეგია, თუმცა ბოლო დროს ექსტრემისტების თავდასხმები გახშირდა. აშშ-ს დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ვიზიტამდე განაცხადა, რომ პაკისტანი, სავარაუდოდ, გაგრძელებს ექსტრემისტებთან სამხედრო მეთოდებით ბრძოლას, თუმცა ასევე შეეცდება მათ ჩართვას მოლაპარაკებების პროცესში. აშშ-ს სურს, ნათლად გააგებინოს პაკისტანის ახალ ხელისუფლებას, რომ ექსტრემიზმი ემუქრება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის გეგმებს, რაც ნავაზ შარიფის მთავრობის პრიორიტეტია, არამედ სერიოზულ პრობლემებს უქმნის ვაშინგტონსაც, რომლის ჯარებიც მეზობელ ავღანეთშია განლაგებული.

პაკისტანის თავზე უპილოტო თვითმფრინავების ფრენა ამ სახელმწიფოში ცხარე კამათს იწვევს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მთავრობა და სამხედროები ამერიკელიების მოქმედებებს მხოლოდ საჯაროდ გმობენ, საიდუმლოდ კი მათთან თანამშრომლობენ. აშშ-ს და პაკისტანის ურთიერთობებში, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ სერიოზული პრობლემები იყო, თუმცა ახლა ეს ცოტა შერბილდა, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ პაკისტანში ახალი მთავრობაა და რაღაცები ხელახლაა გასარკვევი და დასალაგებელი.

***„ბი-ბი-სის“ მიხედვით***
***მოამზადა ივა შილაკაძემ***

# ფანტასტიკური ჰორორი მისტიკის გარნირით

პირველი გვერდიდან



ლიტერატურული კონკურსები ჩვენთან მეტ-ნაკლები სიხშირით ტარდება, თუმცა იშვიათია შემთხვევა, როდესაც კონკურსანტებს ნაწარმოების შექმნა კონკრეტულ ჟანრში უწევთ. „ინსომნიას“ შემთხვევაში კი მონაწილეებმა არა თუ ჟანრობრივად განსაზღვრული მოთხრობა უნდა დაწერონ, არამედ ისეთ ჟანრებში უნდა იმუშაონ, რომლებსაც ჩვენთან ნაკლებად სწყალობენ - ბევრი მკითხველი არ ჰყავთ, შემქნელი კი უფრო ნაკლებია. არადა ფაქტია - ეს ჟანრები არსებობს, მთელ მსოფლიოში პოპულარულია და ამავე მსოფლიოს ლიტერატურული პროცესის სრულუფლებიანი წევრები არიან.

საუბარია ჰორორზე, მისტიკაზე, სამეცნიერო ფანტასტიკასა და ფენტეზიზე, ზემოთ ნათქვამში დასარწმუნებლად კი საკუთარი წიგნების თაროებს გადახედეთ და აღიარეთ, რომ ამ ჟანრებში შექმნილი არა ერთი თანამედროვე თუ უკვე კლასიკად ქცეული ნაწარმოები გაქვთ (იმედია, არა მხოლოდ გაქვთ, არამედ, წაგიკითხავთ კიდეც, სულ მცირე, მათი ეკრანიზაციები მაინც გინახავთ). მათ შორის პრაქტიკულად ვერ აღმოაჩენთ ქართველი ავტორების წიგნებს თუ, ცხადია, ნატო დავითაშვილის შესახებ არაფერი გსმენიათ. ეს ავტორი პრაქტიკულად ერთადერთია, ვინც ფენტეზის ჟანრში აქტიურად მუშაობს, თუმცა უდავოდ არებობენ სხვებიც, ჯერ კიდევ უცნობი ავტორები, რომლებსაც საკუთარი ნაწარმოებების მკითხველამდე მისატანად აუცილებლად სჭირდებათ მოტივაცია - „ინსომნიას“ კი სწორედ ამის პრეტენზია გააჩნია.

ფესტივალის იდეა წლევანდელი „საბას“ ნომინანტ პოეტ ზაზა კოშკაძეს ეკუთვნის, პროექტის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეებს ქარჩხაძის გამომცემლობა და წიგნის მაღაზია Book City. ეს უკანასკნელი მელიქიშვილზე მდებარე სწორედ ის ძველი და წიგნებით სავსე სახლია, სადაც კონკურსის მონაწილეები აჩრდილებად უნდა იქცნენ, მანამდე კი ერთი ეტაპის გავლა მოუწევთ: კონკურსის პირობების თანახმად, მასში მონაწილება შეუძლია ნებისმიერს, თუმცა ფინალში მხოლოდ შვიდი კონკურსანტი გავა. მათ ჟიური (დათო ტურაშვილი, ნატო დავითაშვილი, ლაშა ბუღაძე, ნიკა სამუშია და ბლოგერი მოლი ბლუმი) შეარჩევს, რისთვისაც 1 სექტემბრამდე ფესტივალის ელექტრონულ მისამართზე (fest.insomnia@gmail.com) 3-დან 5 გვერდამდე მოცულობის საკუთარი „ფობიოგრაფია“ უნდა გააგზავნონ.

„ფობიოგრაფიაც“ შეიძლება მხატვრული ნაწარმოები იყოს, მაგრამ, მთავარია, ავტორმა ზედმიწევნად საინტერესოდ გადმოსცეს საკუთარი შიშები და მათგან მოგვრილი განცდები. შესარჩევ ეტაპზე ანონიმურობა დაცული იქნება, რასაც საუკეთესო შვიდეული მოკლებული იქნება. მეტიც, მათ წერის პროცესს ნებისმიერი მსურველი ონლაინ რეჟიმში მიადევნებს თვალს. ამრიგად პროექტი რეალითი შოუს ელემენტებს იძენს და საყურებლად დაახლოებით ისეთი ეფექტი ექნება, როგორც ეს ფილმ „პარანორმალურ აქტივობაში“ გვინახავს, თუმცა, ცხადია, დასასრული სულ სხვანაირი იქნება.

„ინსომნიას“ ფინალი კი კრებულია, რომელსაც გია ქარჩხაძის გამომცემლობა გამოსცემს. მასში საუკეთესო „ფობიოგრაფიებიც“ შევა, ასე რომ მათი წერისასაც ეცადეთ, საქმეს შემოქმედებითად მიუდგეთ და ხუთი გვერდი მარტო იმის მარტივ აღწერაში არ დახარჯოთ, თუ როგორ გეშინიათ კალიების, სუპში მოცურავე ხახვის ან სიდედრის.

**ზაზა კოშკაძე:** «ამ ჟანრებს კარგად ვიცნობ, მოყვარული ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ამჟამად მათი ბუმია. ისინი განსაკუთრებით მოსწონთ მოზარდებს, რომლებიც სწორედ მათი საყვარელი ლიტერატურის კითხვით ყალიბდებიან კარგ მკითხველებად. ვიცნობ რამდენიმე მოყვარულ ავტორს, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მოტივაცია, რათა საკუთარი ნამუშევრები მკითხველს გააცნონ, მათ შრომასაც ხომ უნდა ჰქონდეს აზრი.»

საკუთარი მოტივაცია აქვს გია ქარჩხაძესა და მის გამომცემლობასაც, რომელმაც საუკეთესოდ იცის, თუ რა ჟანრებზე აქვს მოთხოვნა თანამედროვე მკითხველს. «ნატო დავითაშვილის გარდა სხვა ქართველ ავტორს არ ვიცნობ, ვინც ამ ოთხიდან ერთ-ერთში მაინც მუშაობს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მისტიკურ ან ფანტასტიკურ ნაწარმოებებს ვიღაც მაინც წერს. ეს პროექტი ჩვენი მხრიდან მათ გასაცნობად და მათ მკითხველთან მისაახლოებლად ხორციელდება. ჩვენთან ჰორორი ან ფენტეზი, სამწუხაროდ, სერიოზულ ლიტერატურულ ჟანრებად არ აღიქმება, რაც მცდარი შეხედულებაა. ასე იყო ოდესღაც მთელ მსოფლიოშიც, მაგრამ გამოჩდნენ ავტორები, რომლებმაც ეს მითი დაამსხვრიეს და თანამედროვე ლიტერატურის მართლაც შესანიშნავი ნაწარმოებები, მსოფლიო ბესტსელერები შექმნეს. მსგავსი ტიპის კონკურსები კი ახალი ჟანრების სამზეოზე გამოსატანად და საერთო ლიტერატურულ პროცესში ჩასართველად კარგი საშუალებაა, რომელიც, იმედია, ჩვენს შემთხვევაშიც გაამართლებს», - ამბობს გია ქარჩხაძე.

მოკლედ, წინ მთელი ერთი თვე გაქვთ საიმისოდ, რომ ჯერ საკუთარი «ფობიოგრაფია» დაწეროთ, ფინალში გასვლის შემთხვევაში კი კრებულში შესატან მოთხრობაზე დაიწყოთ ფიქრი და, რაც მთავარია, ნუ შეგეშინდებათ, საშიში აქ საერთოდ არაფერია...

# ვახუშტის ნაშრომები იუნესკომ მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა

პირველი გვერდიდან



ამასთან დაკავშირებით ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა ბრიფინგი გამართეს და ვახუშტის რუკების გამოფენა გახსნეს.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი ქეთევან კანდელაკი, ისტორიკოსები, გეოგრაფები, კატროგრაფები და სხვა დაინტერესებული პირები.

მინდა საზოგადოებას, მეცნიერებს, ისტორიკოსებს, კარტოგრაფებს მივულოცო ის ფაქტი, რომ ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა ოფიციალურად გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილი. იუნესკომ აღიარა, რომ ჩვენ გვაქვს ძველი გეოგრაფიული და კატროგრაფიული განძი და ის დღესაც წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიის ისტორიის, გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ჩვენ ეროვნულ არქივში ვიღებთ ვალდებულებას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიულ ატლასს“ და აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ მოვუვლით და დავიცავთ ისე, რომ არასოდეს დადგეს ეჭვქვეშ მისი საერთაშორისო რეესტრში ყოფნის საკითხი“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

თეონა იაშვილის თქმით, ეროვნულმა არქივმა იუნესკოში მსოფლიო მემკვდრეობის საერთაშორისო რეესტრში შესატანად ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები 2012 წელს წარადგინა. იუნესკოს მსოფლიო საერთაშორისო რეესტრის კომიტეტმა იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ დაეკმაყოფილებინა ეროვნული არქივის განაცხადი და აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და გეოგრაფიული ატლასი“ საერთაშორისო რეესტრში შეიტანა.

აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და გეოგრაფიული ატლასი“ ვახუშტი ბაგრატიონის ავტოგრაფებია, რომლებიც 1743-1755 წლებში შეიქმნა. როგორც ირკვევა, თავდაპირველად რუკები და ბაგრატიონთა გენეალოგიური სქემები ხელნაწერის შემადგენელი ნაწილი იყო და თითოეული რეგიონის აღწერას ერთვოდა შესაბამისი რუკა. სავარაუდოდ, XIX საუკუნეში რუკები და გენეალოგიური სქემები ხელნაწერისაგან განცალკევდა.

ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და გეოგრაფიული ატლასი“ სანკტ-პეტერბურგის აზიურმა მუზეუმმა შეიძინა. 1925 წელს ბატონიშვილის ავტოგრაფები სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკიდან საქართველოს გადმოეცა და ამჟამად ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივშია დაცული.

აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და გეოგრაფიული ატლასი“ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველ სრულყოფილ გეოგრაფიულ აღწერას გვაძლევს. აქ მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე და მასში შესულია საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების ისტორია და მათი გეოგრაფიული აღწერილობა. რუკებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ აღწერაში და დღემდე რჩება კავკასიის რეგიონის გეოგრაფიის შესწავლის საფუძვლად.

ეროვნულ არქივში ვახუშტის რუკების გამოფენა 10 აგვისტომდე გაგრძელდება. დასწრება თავისუფალია.

## ამინდი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბასთუმანი | -2°C - -9°C | ათენი | 13°C - 11°C |
| ბათუმი | 12°C - 8°C | ანტალია | 15°C - 8°C |
| ზუგდიდი | 8°C - 4°C | ბაქო | 9°C - 3°C |
| თბილისი | 12°C - 2°C | ბუდაპეშტი | 2°C - -2°C |
| ქუთაისი | 9°C - 5°C | ერევანი | 7°C - -1°C |
| სამტრედია | 8°C - 5°C | ვენა | -1°C - -4°C |
| გორი | 9°C - -4°C | კიევი | 1°C - -3°C |
| სენაკი | 9°C - 6°C | თელ-ავივი | 22°C - 14°C |
| წინანდალი | 11°C - 1°C | ლონდონი | 3°C - -3°C |
| გონიო | 12°C - 7°C | მოსკოვი | -8°C - -15°C |
| მანგლისი | 5°C - -5°C | მიუნხენი | -2°C - -7°C |
| გუდაური | -3°C - -16°C | ნიუ-იორკი | 1°C - -3°C |
| მესტია | 2°C - -11°C | პრაღა | -3°C - -8°C |
| ბოლნისი | 11°C - -2°C | სტამბული | 11°C - 8°C |
| ლაგოდეხი | 11°C - -2°C | პარიზი | 3°C - -4°C |
| ბაკურიანი | -3°C - -10°C | რომი | 13°C - 5°C |
| ბორჯომი | 6°C - -3°C | ბერლინი | -2°C - -7°C |
| საჩხერე | 8°C - 1°C | პეკინი | 7°C - -2°C |
| მცხეთა | 11°C - -1°C | ტოკიო | 7°C - 2°C |
| სოხუმი | 10°C - 6°C | დელი | 23°C - 12°C |
| ურეკი | 9°C - 7°C | მინსკი | -5°C - -8°C |
| ხაშური | 7°C - -2°C | ტალინი | -4°C - -7°C |
| ზესტაფონი | 9°C - 2°C | ასტანა | -10°C - -16°C |
| ფოთი | 9°C - 7°C | ბიშკეკი | 9°C - -3°C |
| ცხინვალი | 6°C - -4°C | დუბაი | 25°C - 18°C |
| შატილი | -3°C - -8°C | დუშანბე | 16°C - 6°C |
| რუსთავი | 13°C - 1°C | ვილნიუსი | -5°C - -11°C |
| თელავი | 11°C - 1°C | იოჰანესბურგი | -3°C - -8°C |
| კასპი | 10°C - -2°C | იოჰანესბურგი | -1°C - -9°C |
| გურჯაანი | 10°C - -1°C | კაირო | 26°C - 16°C |
| სიღნაღი | 10°C - 0°C | კიშინიოვი | 6°C - -1°C |
| მარნეული | 11°C - -2°C | კოპენჰაგენი | 0°C - -5°C |
| წყნეთი | 10°C - -2°C | ოსლო | -2°C - -8°C |
| სიონი | 3°C - -7°C | რეიკიავიკი | 8°C - 6°C |
| სურამი | 7°C - -2°C | რიგა | -6°C - -12°C |
| თიანეთი | 8°C - -3°C | სტოკჰოლმი | -3°C - -8°C |
| ხარაგაული | 9°C - 1°C | ტაშკენტი | 9°C - 1°C |
| ჭიათურა | 7°C - -1°C | ჰელსინკი | -2°C - -6°C |
| ხობი | 9°C - 6°C | ბარსელონა | 16°C - 9°C |
| ლანჩხუთი | 10°C - 6°C | ბუქარესტი | 8°C - 2°C |
| ჩოხატაური | 9°C - 4°C | ვარშავა | -1°C - -5°C |
| ოზურგეთი | 10°C - 4°C | ლისაბონი | 17°C - 11°C |
| ქობულეთი | 12°C - 8°C | მადრიდი | 13°C - 6°C |
| ონი | 6°C - -4°C | ნეაპოლი | 14°C - 6°C |
| ამბროლაური | 4°C - -4°C | სოფია | 9°C - 1°C |
| ომალო | 0°C - -6°C | სტრასბურგი | -4°C - -7°C |
| ახალციხე | 5°C - -3°C | ჰამბურგი | -3°C - -5°C |
| უშგული | -5°C - -14°C | ფრანქფურტი | -3°C - -9°C |
| დავით-გარეჯი | 9°C - 0°C | | |

## ვალუტის კურსი

| | | | |
|---|---|---|---|
| AED | 10 | არაბეთის საამიროების დირჰამი | 4.5105 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.0407 |
| AUD | 1 | ავსტრალიური დოლარი | 1.5310 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.1119 |
| BGN | 1 | ბულგარული ლევი | 1.1152 |
| BRL | 1 | ბრაზილიური რიალი | 0.7422 |
| BYR | 10000 | ბელორუსული რუბლი | 1.8719 |
| CAD | 1 | კანადური დოლარი | 1.6023 |
| CHF | 1 | შვეიცარიული ფრანკი | 1.7642 |
| CNY | 10 | ჩინური იუანი | 2.6994 |
| CZK | 10 | ჩეხური კრონა | 0.8392 |
| DKK | 10 | დანიური კრონი | 2.9261 |
| EGP | 10 | ეგვიპტური გირვანქა | 2.3661 |
| EUR | 1 | ევრო | 2.1822 |
| GBP | 1 | ინგლისური გირვანქა | 2.5419 |
| HKD | 10 | ჰონკონგური დოლარი | 2.1355 |
| HUF | 100 | უნგრული ფორინტი | 0.7394 |
| ILS | 10 | ისრაელის შეკელი | 4.6390 |
| INR | 100 | ინდური რუპია | 2.7732 |
| IRR | 10000 | ირანული რიალი | 0.6737 |
| ISK | 100 | ისლანდიური კრონი | 1.3732 |
| JPY | 100 | იაპონური იენი | 1.6576 |
| KGS | 100 | ყირგიზული სომი | 3.3810 |
| KWD | 1 | ქუვეითური დინარი | 5.8147 |
| KZT | 100 | ყაზახური ტენგე | 1.0825 |
| LTL | 10 | ლიტვური ლიტი | 6.3258 |
| LVL | 1 | ლატვიური ლატი | 3.1081 |
| MDL | 10 | მოლდავური ლეი | 1.2938 |
| NOK | 10 | ნორვეგიული კრონი | 2.7924 |
| NZD | 1 | ახალზელანდიური დოლარი | 1.3220 |
| PLN | 10 | პოლონური ზლოტი | 5.1682 |
| RON | 10 | რუმინული ლეი | 4.9390 |
| RSD | 100 | სერბიული დინარი | 1.9252 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 5.1271 |
| SEK | 10 | შვედური კრონი | 2.5539 |
| SGD | 1 | სინგაპურული დოლარი | 1.3090 |
| TJS | 10 | ტაჯიკური სომონი | 3.4743 |
| TMT | 10 | თურქმენული მანათი | 5.8126 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8651 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 2.0726 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 1.6566 |
| UZS | 1000 | უზბეკური სუმი | 0.7871 |
| ZAR | 10 | სამხრეთაფრიკული რანდი | 1.6846 |
| KRW | 1000 | სამხრეთ კორეული ვონი | 1.4831 |
| QAR | 10 | ყატარული რიალი | 4.5497 |

## სასაქონლო ბირჟა

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.20 | +0.01 | +0.28% |
| გაზი | 3.57 | -0.02 | -0.53% |
| ოქრო | 1,737.90 | -6.80 | -0.39% |
| ხორბალი | 867.75 | -0.75 | -0.09% |
| S&P/TSX Composite Index | 12,810.20 | +123.58 | +0.97% |
| Nasdaq Composite Index | 3,213.59 | +21.56 | +0.68% |
| Dow Jones Industrial Average | 14,035.70 | +53.91 | +0.39% |

## აფიშა

### თეატრები

**რუსთაველის თეატრი**
სტუმარ-მასპინძელი
რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე
მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა
მცირე სცენა
19:45
8, 10 ლ.

**მარჯანიშვილის თეატრი**
როგორც გენებოთ
რეჟისორი: ლევან წულაძე
მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი
დიდი სცენა
20:00
6 - 16 ლ.
კინკასის უცნაური გარდაცვალება
სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი
რეჟისორი: გიორგი თავაძე
თეატრი სხვენში
20:00
11 ლ.

**თავისუფალი თეატრი**
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!
პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 150 წუთი
19:00
6, 13, 15 ლ.

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს
რეჟისორი: გოგი მარგველაშვილი
მონაწილეობენ: გოგა პიპინაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ვანო თარხნიშვილი, ეკა ანდრონიკაშვილი, გიორგი ყიფშიძე, ქეთი ასათიანი, გია აბესალაშვილი, ზურაბ გეწაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნინო ჩხეიძე

19:00
10 ლ.

**ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი**
აკრძალული თამაშები
რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი
მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 75 წუთი
20:00
10 ლ.

**ახმეტელის თეატრი**
ღია შუშაბანდი
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე
19:00
7, 10 ლ.

**თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი**
კუკარაჩა
რეჟისორი: შალვა გაწერელია
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 110 წუთი
დიდი დარბაზი
11:00
7, 10 ლ.
ალისფერი ყვავილი
რეჟისორი: ანატოლი ლობოვი
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 90 წუთი
მცირე დარბაზი
12:00
5, 7 ლ.
15:00

**გაბრიაძის თეატრი**
რამონა
მარიონეტების თეატრი
ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე
10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან
20:00
5, 10, 15 ლ.

### გამოფენები

ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის გამოფენა „Promenade“
ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი
ლ. გუდიაშვილის ქ. 11, ტელ: 293 23 05
საგამოფენო დარბაზი მუშაობს ყოველდღე 11:00 - 18:30 ორშაბათის და ოფიციალური უქმე დღეების გარდა.
ბილეთის ფასი: 5 ლარი / 6-18 წლამდე - 3 ლარი / სტუდენტებისა და პენსიონერებისთვის - 3 ლარი/ 6 წლამდე ბავშვები დაიშვებიან უფასოდ / მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ჯგუფი დაიშვება უფასოდ.
25 სექტემბერი - 30 მაისი
ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
გუდიაშვილის ქ. 1, ტელ: 299-71-76
მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე
26 აპრილი - 12 მაისი
სამი ქართველი მხატვრის: ოლეგ ტიმჩენკოს, ვახო ბუღაძისა და უშანგი ხუმას ნამუშევრების გამოფენას Victoria“
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11. ტელ: 299-80-22
გალერეა მუშაობს: სამშაბათი-კვირა 10:00-დან 18:00 საათამდე
11 აპრილი - 5 მაისი

## კროსვორდები




| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 2 | | | | | |
| | 9 | 4 | | | | | | 7 |
| 2 | | 1 | 6 | | 9 | | | |
| | | | | | 6 | | 3 | |
| 1 | 6 | | | 7 | | | 2 | 9 |
| | 8 | | 5 | | | | | |
| | | | 9 | | 8 | 7 | | 6 |
| 7 | | | | | | 5 | 9 | |
| | | | | | 4 | | | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | | | | | | 8 | |
| | | | 8 | 5 | | 1 | 7 | 3 |
| | 5 | | | | 3 | | | |
| 1 | | | | 8 | | | 5 | |
| | 6 | | | | | | 1 | |
| | 3 | | | 9 | | | | 7 |
| | | | 2 | | | | 4 | |
| 9 | 2 | 6 | | 4 | 7 | | | |
| | 7 | | | | | | 9 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 | 7 | | |
| | 6 | | 8 | | 2 | | 5 | |
| 5 | | | 9 | 1 | | | | |
| | 2 | 5 | | | | | 1 | |
| | | 7 | | | | 4 | | |
| | 4 | | | | | 8 | 9 | |
| | | | | 7 | 6 | | | 3 |
| | 3 | | 1 | | 8 | | 7 | |
| | | 1 | 5 | | | | | |

# ქეცბაიამ ყაზახეთისთვის ნაკრებს უხმო, ყაზახეთმა - საქართველოსთვის

პირველი გვერდიდან

თემურ ქეცბაიას შეგირდები 11 აგვისტოს ასტანაში შეიკრიბებიან. ლეგიონერები პირდაპირ ყაზახეთში ჩავლენ. გუნდი თბილისურ შეკრებას არ გაივლის.

ყაზახეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი 14 აგვისტოს, თბილისის დროით 22 საათზე, «ასტანა არენაზე" გაიმართება.

**საქართველო:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია («დინამო" თბილისი), ნუკრი რევიშვილი («დილა", გორი), როინ კვასხვაძე («ზესტაფონი")

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე («დნიპრო", უკრაინა), აკაკი ხუბუტია («მორდოვია", რუსეთი), გურამ კაშია («ვიტესი", ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა (ორივე «კრილია სოვეტოვი", რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი («ქაისერისპორი", თურქეთი), დავით კვირკველია («დინამო" თბილისი), გულვერდ თომაშვილი («დილა", გორი)



**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე (ორივე «დნიპრო", უკრაინა), ლაშა გვალია («დილა", გორი), დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე «ილიჩევეცი", უკრაინა), ელგუჯა გრიგალაშვილი («დინამო" თბილისი), შოთა გრიგალაშვილი («ანორთოსისი", კვიპროსი), ჯანო ანანიძე («როსტოვი", რუსეთი)

**თავდამსხმელები:** ვლადიმერ დვალიშვილი («ლეგია", პოლონეთი), ნიკოლოზ გელაშვილი («ყარაბაღი", აზერბაიჯანი), ლევან მჭედლიძე («ემპოლი", იტალია), ირაკლი სირბილაძე («ინტერ ტურკუ", ფინეთი)...

**ყაზახეთი:**

**მეკარეები:** ანტონ ცირინი („ჟეტისუ"), ანდრე სიდელნიკოვი („აქტობე"), ალექსანდრ მოკინი („შახტიორი", ყარაგანდა).

**მცველები:** ქაირათ ნურდაულეტოვი, ვიქტორ დმიტრენკო (ორივე „ასტანა"), მარკ გურმანი, ალექსანდრ კისლიცინი (ორივე „ქაირათი"), იური ლოგვინენკო, ალექსეი მულდაროვი (ორივე „აქტობე"), კონსტანტინ ენგელი („კოტბუსი", გერმანია), ზახარ კორობოვი („ჟეტისუ").

**ნახევარმცველები:** აზატ ნურგალიევი („ორდაბასი"), მაქსატ ბაიჟანოვი („შახტიორი", ყარაგანდა), ვალერი კორობკინი („ასტანა"), დმიტრი შომკო („ირტიში"), ანატოლი ბოგდანოვი, ნურბოლ ჟუმასკალიევი (ორივე „ტობოლი"), ჟამბილ კუკეევი, ოლეგ ნედაშკოვსკი (ორივე „ქაირათი").

**თავდამსხმელები:** ალექსეი შჩეტკინი („ატირაუ"), სერგეი გრიდინი („აქტობე"), იგორ იურინი („ირტიში"), სერგეი ხიჟნიჩენკო („შახტიორი", ყარაგანდა).

ბარანეკმა სარეზერვო ფეხბურთელებიც დაასახელა, რომელთაც იმ შემთხვევაში უხმობს, თუ ზემოთ ხსენებულ მოთამაშეებიდან, რომელიმე ტრავმას მიიღებს:

ანტონ ჩიჩულინი, პაველ შაბალინი (ორივე „ირტიში"), სამატ ოტარბაევი („ორდაბასი"), სარიკჟან მუჟიკოვი („ჟეტისუ"), ულან კონისბაევი, მარატ შახმეტოვი, ტანატ ნუსერბაევი (ყველა „ასტანა"), ანდრეი ფინონჩენკო („შახტიორი", ყარაგანდა), ვიტალი ვოლკოვი („ტობოლი").

# ევრობასკეტისთვის მზადება რიტმში მიდის

## თორნიკე შენგელიას ოპერაცია გაუკეთდა

ზაზა ფაჩულიათი და თორნიკე შენგელიათი დასუსტებული საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები 25 ივლისიდან სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას აგრძელებს. პირობებით ყველა კმაყოფილია. მეტიც, როგორც თავად აღნიშნავენ, იდეალური პირობები აქვთ - სლოვენიაში განთქმულ სპორტკომპლექს „ტერმე ოლიმპიაში" გადიან შეკრებას, რაც 6 აგვისტომდე გაგრძელდება. ამას მოჰყვება საერთაშორისო ოთხთა ტურნირი იტალიის ქალაქ ტრენტინოში, სადაც მასპინძელ იტალიასთან, ისრაელთან და პოლონეთთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. ოთხთა ტურნირის შემდეგ ნაკრები დისლოკაციის ადგილს - პოდჩეტრტეკს დაუბრუნდება.

ორჯერადი ვარჯიშები, კომბინაციების შესწავლა-დამუშავება და გარკვეული დოზით ფიზიკური კონდიციების ამაღლება. ეს არის ის, რაზეც ნაკრებში ამახვილებენ ყურადღებას. ევრობასკეტისთვის მზადება იდეალურ პირობებში მიმდინარეობს, მაგრამ შემადგენლობაა არაიდეალური. ტრავმის გამო ნაკრებში არ არიან ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია. საქართველოს ნაკრებს კონტინენტის პირველობაზე მათ გარეშე მოუწევს გამოსვლა, რაც მთავარი მწვრთნელისთვის, იგორ კოკოშკოვისთვის, დიდი თავსატეხია.



სლოვენიურ შეკრებაზე იმყოფებოდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი, რომელთან ინტერვიუც კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდმა გამოაქვეყნა, რასაც ჩვენც მოვიშელიებთ.

- თავიდანვე ვიცოდით, რომ ნაკრები მაღალი დონის სპორტულ კომპლექსში მიემგზავრებოდა, - ამბობს ბესიკ ლიპარტელიანი. - ადგილზე ჩასულმა კი მართლაც საუკეთესო მოსამზადებელი პირობები ვნახე. „ტერმე ოლიმპია" სლოვენიაში საუკეთესო სპორტულ კომპლექსად ითვლება. იქ ყველა პირობაა, რომ სპორტსმენი უმაღლეს დონეზე, კომპლექსურად მოემზადოს.

**- იყო სხვა ვარიანტებიც?**

- რამდენიმე ვარიანტი გვქონდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა «ტერმე ოლიმპია" აირჩიეს. ამის მიზეზი ის არის, რომ სხვა ვარიანტებში ჩვენს ნაკრებს სხვა გუნდებთან ერთად მოუწევდა სპორტკომპლექსში ცხოვრება, „ტერმე ოლიმპიაში" კი ხელშემშლელი არავინ ჰყავთ. მარტო არიან. ეს ყველაფერი სიმყუდროვისა და ვარჯიშებზე მაქსიმალურად ორიენტირების გარანტიას იძლევა.

**- რამდენიმე ვარჯიშს დაესწარით. რას იტყვით ნაკრების მზადყოფნის დონეზე?**

- როგორც იცით, ეროვნულმა ნაკრებმა თბილისში ფიზმომზადების ვარჯიშები გაიარა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ გუნდის წევრები კარგ კონდიციაში არიან. შეიძლება ითქვას, რომ უცხოურ შეკრებას ნაკრები ასეთ კარგ ფორმაში არასდროს შეხვედრია.

**- ეს ფიზმომზადების ახალი მწვრთნელის მუშაობამ განაპირობა?**

- უფრო იმან, რომ ფიზმომზადების მწრთნელი თბილისური შეკრების დასაწყისიდან გუნდთან ერთად იყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაკრების ახალი მწვრთნელის, ალექსანდრ ჩვოროვიჩის ფაქტორიც. ძალიან კარგი პიროვნებაა, თავისი შეხედულებები აქვს ფიზიკური მომზადების სფეროში. ჩვოროვიჩი გარანტიას იძლევა, რომ გუნდის წევრები ჩემპიონატისთვის მომზადების პიკზე იქნებიან. იქამდე კი მის ვარჯიშებს ბოლომდე მიჰყვებიან.

**- რამდენად მონდომებული არიან მოთამაშეები?**

- მონდომებას არავის დაუწუნებ. ახალგაზრდები გრძნობენ კონკურენციას და ბოლომდე იხარჯებიან.

**- თორნიკე შენგელია მოასწრებს ევრობასკეტისთვის გამოჯანმრთელებას?**

- შენგელიას და ფაჩულიას თამაში ასი პროცენტით გამოირიცხა. მწვრთნელებმა ეს იციან და უკვე შესაბამის კომბინაციებს ამუშავებენ, რომლებიც მხოლოდ იმ მოთამაშეებზეა გათვლილი, რომლებიც ნაკრების შეკრებაზე არიან. მალე საკონტროლო მატჩები დაიწყება და მწვრთნელები უფრო კარგად აწონ-დაწონიან ვითარებას, თითოეული მოთამაშის შესაძლებლობებს შეაფასებენ და ოპტიმალურ შემადგენლობას შეარჩევენ.

**P.S.** გუშინ ნიუ იორკის კლინიკაში საქართველოს ნაკრებისა და „ბრუკლინ ნეთსის" ფორვარდს, თორნიკე შენგელიას, ოპერაცია გაუკეთდა. მას მარჯვენა მუხლის ტრავმა ჰქონდა და ოპერაცია გახდა საჭირო, რომელმაც ერთ საათს გასტანა და კარგად ჩაიარა. მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანში იქნება მწყობრში შენგელია, სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე მისი თამაში გამორიცხულია.

# ბიგ მაკი

ზურა თალაკვაძე

ჯონ მაკინროუმ კარიერა დახურა. ჯონ მაკინროუს კარიერა ჩოგბურთის გატეხილი სარკე იყო. იმ სარკეში მხოლოდ ჯონი იხედებოდა, საკუთარ თავს ხედავდა, ბედნიერი იყო და ჯონიმ გაიგო, რომ იმ სარკეში ყველაზე მაგარი ტიპი ჩანდა. მაკინროუ სხვა სარკეებში არ ამოდიოდა. ჩოგბურთის დრაკულა, რომელსაც სარკეები ვერ იტანდნენ და რომელიც მხოლოდ თავის, იმ ერთ, გატეხილ სარკეში ჩანდა. იმ სარკეში ჯონი მაკინროუმ ბევრჯერ ჩაიხედა და მისტერ ახვარი (ამ მეტსახელით იცნობდნენ და ეს მეტსახელი სახელზე მეტი იყო) კმაყოფილია. ჯონი მაკინროუმ ერთეულებში მოსაგები მოიგო. ჯონი ერთეულებში ბოსი იყო და წყვილებშიც გაქაჩა. და მაკინროუმ აირჩია მეწყვილე. ცოტა მოწესრიგებული, ცოტა არანორმალური ტიპი, პიტერ ფლემინგი და მისტერ ფლემინგი მაკინროუსთან ერთად იყო ტერორი. ორმაგი ტერორი ორმაგი დარტყმით. ორმაგი ტერორი ბევრი დანით. ჩოგბურთის Wolverine. ჩოგბურთის სახე.

ჯონი იყო კლასიკა. მაკინროუ გახდა რეიტინგის პირველი ნომერი. ერთეულებში. წყვილებშიც. 1980. 3 მარტი. მემფისი. მაკინროუ პირველად ადის პირველზე და ჯონის იქ ჩამოჯდომა მოეწონა. ჯონი არ ბრექობს და მაკინროუ ჩოგბურთზე მეტია. ჯონიმ ბიჭებს თვალი ჩაუკრა და დაიწყო მისტერ არანორმალურის სტაბილური დომინაცია. მრავალჯერადი, ჯონის დომინაცია.

**მაკინროუ:** ჩემთვის ეს უცნობი, განსაკუთრებული განცდა იყო. გავხდი პირველი ნომერი, გავხდი ბიორნ ბორგზე, ჯიმი კონორსზე უკეთესი. ალბათ, ბორგი და კონორსი ჩემზე სრულყოფილი მოთამაშეები იყვნენ, მაგრამ იმ პერიოდში მე პირველი ვიყავი. 1981-84 წლებში ბევრი დიდი, სისხლიანი ბრძოლა მქონდა. ვეცემოდი და ვდგებოდი. გავძელი. ბოლომდე."



*ჯონი მაკინროუ*

მხოლოდ ოთხმა კარგმა ბიჭმა ზედიზედ ოთხჯერ დაასრულა საჩოგბურთო სეზონი პირველზე. მაკინროუს გარდა, ჯეკპოტი მოხსნეს კონორსმა, პიტ სამპრასმა და როჯერ ფედერერმა. მაკინროუსგან განსხვავებით, სამი ტიტანი მხოლოდ ერთეულებში ქაჩავდა. ჯონი ყველგან პირველი იყო. ჯონი იყო ჩოგბურთის ტრანსფორმერი. ჯონი იყო ლეგენდა. ჯონი გშლიდა.

ზედიზედ ხუთი სეზონი პირველ ადგილზე. წყვილებში. 1979-83. ჯონი და პიტ ფლემინგი თითქმის არ აგებდნენ. ფლემინგის მშვიდი ქარიზმა ავსებდა ჯონის და ფლემინგი ბევრს ასწრებდა. და ჯონი იყო ალ კაპონე. ჩოგბურთის მობსტერი ელეგანტური თამაშით და ლაზერული დარტყმებით. მაკინროუმ ერთეულებში პირველ ადგილზე 170 კვირა მიიღო. წყვილებში - 269 კვირა. ერთეულებში მაკინროუმ დიდი სლემის 7 ფინალი მოიგო. წყვილებში - 9.

**მაკინროუ:** პირველ ადგილზე ადიხარ და ღმერთი ხდები. მეორეზე ჯდები და პირველის შემდეგ საუკეთესო ხარ. მე მინდოდა პირველი ადგილი. და მე ეს გავაკეთე. ჯონიმ ერთეულებში 77 ფინალი მოიგო. წყვილებში - 78. 1984 წლის მეგაშედეგი - 82:3 (96.4 %).

ჯონ მაკინროუმ კარიერა დახურა. ჯონ მაკინროუს კარიერა ჩოგბურთის გატეხილი სარკე იყო. იმ სარკეში მხოლოდ ჯონი იხედებოდა, საკუთარ თავს ხედავდა, ბედნიერი იყო და ჯონიმ გაიგო, რომ იმ სარკეში ყველაზე მაგარი ტიპი ჩანდა. მაკინროუ სხვა სარკეებში არ ამოდიოდა. ჩოგბურთის დრაკულა, რომელსაც სარკეები ვერ იტანდნენ და რომელიც მხოლოდ თავის, იმ ერთ, გატეხილ სარკეში ჩანდა. იმ სარკეში ჯონი მაკინროუმ ბევრჯერ ჩაიხედა და მისტერ ახვარი (ამ მეტსახელით იცნობდნენ და ეს მეტსახელი სახელზე მეტი იყო) კმაყოფილია. ჯონი მაკინროუმ ერთეულებში მოსაგები მოიგო. ჯონი ერთეულებში ბოსი იყო და წყვილებშიც გაქაჩა. და მაკინროუმ აირჩია მეწყვილე. ცოტა მოწესრიგებული, ცოტა არანორმალური ტიპი, პიტერ ფლემინგი და მისტერ ფლემინგი მაკინროუსთან ერთად იყო ტერორი. ორმაგი ტერორი ორმაგი დარტყმით. ორმაგი ტერორი ბევრი დანით. ჩოგბურთის Wolverine. ჩოგბურთის სახე.

**Big Mac Singles 1981-84**

**1981** (10): სიდნეი, **US Open**, ცინცინატი, **Wimbledon**, ქვინზი, დალასი, ლოს ანჯელესი, ფრანკფურტი, მილანი, დიდი სლემის თასი.

**1982** (5): უემბლი, ტოკიო, სიდნეი, სან ფრანცისკო, ფილადელფია.

**1983** (7): მასტერსის თასი, უემბლი, სიდნეი, **Wimbledon**, ფორესტ ჰილზი, დალასი, ფილადელფია.

**1984** (13): მასტერსის თასი, სან ფრანცისკო, **US Open**, მონრეალი, **Wimbledon**, ქვინზი, ფორესტ ჰილზი, დალასი, ბრიუსელი, მადრიდი, რიჩმონდი, ფილადელფია, უემბლი.

**Big Mac Doubles 1979-84**

**1979** (16): ბოლონია (ფლემინგთან), უემბლი (ფლემინგთან), სტოკჰოლმი (ფლემინგთან), სან ფრანცისკო (ფლემინგთან),**US Open** (ფლემინგთან), მონრეალი (ფლემინგთან), ინდიანაპოლისი (მაიერთან), საუთ ორენჯი (ფლემინგთან), ფორესტ ჰილზი (ფლემინგთან),**Wimbledon** (ფლემინგთან), სან ხოსე (ფლემინგთან), როტერდამი (ფლემინგთან), მილანი (ფლემინგთან), ნიუ ორლეანზი (ფლემინგთან), რიჩმონდი (ფლემინგთან), **World Doubles WCT** (ფლემინგთან).

**1980** (10): უემბლი (ფლემინგთან), სიდნეი (ფლემინგთან), ბრიზბეინი (მიტჩელთან), მაუი (ფლემინგთან), სან ფრანცისკო (ფლემინგთან), საუთ ორენჯი (მეიზთან), ფორესტ ჰილზი (ფლემინგთან), მილანი (ფლემინგთან), მემფისი (გოტფრიდთან), ფილადელფია (ფლემინგთან).

**1981** (7): სიდნეი (ფლემინგთან), სან ფრანცისკო (ფლემინგთან),**US Open** (ფლემინგთან), ცინცინატი (ფლემინგთან),**Wimbledon** (ფლემინგთან), ფორესტ ჰილზი (ფლემინგთან), ლას ვეგასი (ფლემინგთან).

**1982** (5): უემბლი (ფლემინგთან), სიდნეი (რენერტთან), ცინცინატი (ფლემინგთან), ქვინზი (რენერტთან), ფილადელფია (ფლემინგთან).

**1983** (5): უემბლი (ფლემინგთან), სან ფრანცისკო (ფლემინგთან), **US Open** (ფლემინგთან),**Wimbledon** (ფლემინგთან), ლოს ანჯელესი (ფლემინგთან).

**1984** (7): მასტერსის თასი (ფლემინგთან), სან ფრანცისკო (ფლემინგთან), მონრეალი (ფლემინგთან),**Wimbledon** (ფლემინგთან), მადრიდი (ფლემინგთან), რიჩმონდი (ფლემინგთან), ფილადელფია (ფლემინგთან).


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
2013 elite MODEL LOOK GEORGIA
IC MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX PROM
OUTdooR.ge
MSG MARKETING
ADSSPRINT
McCANN TBILISI
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
EGO
GHN
ANGEL
allmovies.ge
Pink